



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბერიძე თეიმურაზ პლატონის ძე

ბერიძე თეიმურაზ პლატონის ძე (25. II. 1932, თბილისი, —1.IV.2015, იქვე), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1990).

დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1957). 1958–62 მუშაობდა თბილისის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში, 1968-იდან – ს. ჯანაშიას სახ. საქართვე. სახელმწ. მუზეუმის ფეოლ. ხანის მატერ. კულტ. ისტ. განყ-ბაში (1987-იდან იყო უფრ. მეცნ. თანამშრომელი. (1989-იდან – შუა საუკუნეების არქეოლ. განყ-ბის გამგე).

1980–87 მუშაობდა თბილისის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის დირექტორად: 1990 დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს დედაქალაქის აგლომერაციული გარემოს ფორმირების ისტორიული პროცესები (ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია). მისი კვლევის საგანია თბილისის (IV–XX სს.) ისტ. ყოფის და კულტ. საკითხები.

არის ოთხი მონოგრაფიის ავტორი: „მხატვარი ვანო ხოჯაბეგოვი“ (1970), „და აღმოცენდა თბილისი“, (1977), „ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია“ (1977), „ძველი თბილისის სურათები“ (1980). იყო მრავალი საჟურნალო, საგაზეთო წერილისა და სტატიის ავტორი.

თბილისის საპატიო მოქალაქე (2008).

*თხზ.*: ერთი სურათი ძველი თბილისის ყოფიდან. „საბჭოთა ხელოვნება“, 1963, №1; ვახუშტის „იშტეტურქის“ ადგილის მისანიშნებლად, „მაცნე“, ისტ. არქეოლ. და ხელოვნ. ისტ. სერია, თბ., 1970; №5; თბილისური სამეფო სასახლეების ისტორიისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1982 №11; ტერმინ „ვახში“-ს გაგებისათვის, ს. ჯანაშიას სახ. საქართვე.

